გაცნობის თარიღი	გაცემის თარიღი
04.08.2016	04.08.2016

განხილვის საგანი :	სამუშაოების წარმოებაზე აქტის გამოცემა
დაინტერესებული პირი :	კახი ნოზაძე 202208333
წარმოების საფუძველი :	განცხადება №: QN1428370
გასაჩივრების წესი :	გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6)
აქტის მოქმედების ვადა :	აქტი ძალაშია გამოქვეყნებისთანავე

სააგენტოს გადაწყვეტილება № QN1428370

1. საკითხის შემდგომი განხილვის მიზნით წარმოსადგენია:
ა) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის გადაწყვეტილება, ვინაიდან არქიტექტურული ობიექტი განეკუთვნება I კლასს და საჭიროებს სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მხრიდან აღნიშნულის განხორციელების შესაძლებლობის დადასტურებას.
ბ) საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის წერილობითი პოზიცია, ქ. თბილისში, აკაკი ბელიაშვილის ქ. #36-ის მიმდებარედ, განაცხადით განსაზღვრული სამუშაოების წარმოებასთან დაკავშირებით.
2. განაცხადის შევსების დროს, ხელახალ განხილვაზე გადმოგზავნამდე, ველში: ,,სამუშაოს ტიპი" ასარჩევია ,,სხვა სამუშაოს წარმოება და სატრანსპორტო უსაფრთხოების სქემა" და გადასახდელია პროგრამულად განსაზღვრული მომსახურების საფასური სრულად, ვინაიდან ქალაქ თბილისის საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის პოზიციით სამუშაოების წარმოება დაინტერესებაში არსებულ ტერიტორიაზე საჭიროებს ტრანსპორტის და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით მოძრაობის უსაფრთხოების სქემის დამზადებას.
3. ზემოაღნიშნული ხარვეზების აღმოსაფხვრელად განმცხადებელს მიეცეს 20 (ოცი) დღის ვადა. ხარვეზების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, განცხადება დარჩეს განუხილველი.

საფუძველი:

“ცალკეული ხაზობრივი ნაგებობის განთავსების, სამუშაოების წარმოების ან/და მათი შემდგომი რეგისტრაციის თაობაზე თანხმობის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის #19-75 დადგენილება; “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის

მომსახურების საფასურის და ვადების განსაზღვრის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის #19-74 დადგენილება; ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის #19-73 დადგენილება